რევანში შედგა

მოსკოვი. ცხკა–ს სტადიონი. 9 ივნისი.

ცსკა – “დინამო” (თბილისი) 1:2 (1:0, 1:1, 1:2).

ცსკა: ასტაპოვსკი, საუხი, შვეცოვი, ვისოკიხი, აჯემი, ბიჩკოვი (კოლპოვსკი), ჩესნოკოვი, დულიკი, ტარხანოვი (დუბინინი), კორობოჩკა, პეტროსიანი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი (გუცაევი), ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე (კოპალეიშვილი), სულაქველიძე, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ე. აზიმ–ზადე (ბაქო).

გაფრთხილებული არიან სულაქველიძე, შენგელია, საუხი.

წლევანდელ საკავშირო შეჯიბრებათა კალენდარი უმაღლეს ლიგაში ისე წარიმართა, რომ თბილისის დინამოელებს თავისებური 2–რაუნდიანი “ბლიც–ტურნირის” ჩატარება მოუხდათ მოსკოვის არმიელებთან. პირველი თამაში 5 ივნისს ჩემპიონატისა იყო. გუშინ კი მეტოქეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ასეთივე მაღალი რანგის მატჩში – სსრ კავშირის თასის ნახევარფინალში. თასის ფინალში გასვლა თავისთავად უდიდესი სტიმულია ყოველი გუნდისთვის, თბილისელებს კი ამ სტიმულის გარდა რევანშის აღების ბუნებრივი სურვილიც ამოქმედებდათ.

პირველ ტაიმში დინამოელებს აშკარად არ გამოუვიდათ თამაში. საქმე მარტო გაშვებულ გოლში არაა, ეს მარცხი შეიძლება არც მომხდარიყო, ჩივაძეს და გოგიას ოდნავ მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ ელემენტარულ სიტუაციაში. გუნდი მოქმედებდა ნელ ტემპში, ბურთის გაუმართლებლად ზედმეტი ინდივიდუალური ტარებით, მოკლე, გარდიგარდმო გადაცემებით, მწვავე კომბინაციათა გარეშე.

გოლი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მცველისა და მეკარის შუთანხმებლობის შედეგად გავიდა: ბურთი ჩივაძეს მოხვდა მკერდზე და ბადეში შეგორდა.

ასეთი თამაშით ცხადია, რევანში არ შედგებოდა და უნდა ითქვას, თბილისელებმა მეორე ტაიმში შეძლეს სრული გარდატეხა შეეტანათ მატჩის მსვლელობაში. მკვეთრად იმატა ტემპმა. სრული დატვირთვით ამოძრავდა ყველა რგოლი. შეტევა გაიშალა მინდვრის მთელ სიგანეზე. ასტაპოვსკის, რომელმაც თითქმის უქმად გაატარა პირველი 45 წუთი, მძიმე სამუშაო გაუჩნდა. თბილისის “დინამო’ მდგომარეობის სრული ბატონ–პატრონი გახდა.

73–ე წუთზე გუნდს მიეცა საპასუხო გოლის გატანის რეალური შანსი: შვეცოვმა თავის საჯარიმო მოედანზე უხეშად წააქცია ყიფიანი, დაინიშნა პენალტი და გუცაევმა ბურთი ძელს მოახვედრა.

ჯერ კიდევ არ იყო მიწყნარებული ხმაური ტრიბუნებზე გამოუყენებელი პენალტის გამო, რომ დინამოელებმა მორიგი იერიში განავითარეს და დარასელიას დარტყმამ, როგორც იქნა, მიაღწია მიზანს – 1:1.

თასის კანონების თანახმად საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა და თბილისელებმა კვლავ განაგრძეს მეტოქის კარის მძლავრი შტურმი. 93–ე წუთზე გუცაევის მიერ ჩაწოდებული ბურთი ხელიდან გაუვარდა ასტაპოვსკის და ყიფიანმა კარგად გამოიყენა ეს შესაძლებლობა – 2:1.

ეს იყო გადამწყვეტი გოლი. თბილისის “დინამომ” მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება. თავისი არსებობის მანძილზე გუნდი უკვე მეშვიდედ გადის თასის ფინალში. მისი მეტოქე გამოვლინდება დღეს მოსკოვის “დინამოსა” და ლვოვის “კარპატის” მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში.

ვ. ძნელაძე.
“ლელო”, 10 ივნისი, 1979 წ.